SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | ივნისი | 2021 | №10

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / სპორტი / ქალაქის ამბები / კულტურა

ინფორმაცია ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ

პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე

გვ.3

გვ.2

საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს

გაიცანით ჩვენი თანამშრომლები

გვ.4

გვ.5

„საქნახშირმა“ ნარდის ჩემპიონატის გამარჯვებულები დააჯილდოვა!

„საქნახშირში“ საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა

30 ივნისს „საქნახშირში“ საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი საბჭოს წევრებს შეხვდა და მათთან ერთად საბჭოს სტრუქტურა და მუშაობის პრინციპები განიხილა.

საკონსულტაციო საბჭო 46 წევრისგან შედგება (მათ შორის არიან პროფკავშირების წარმომადგენლებიც). საბჭო რამდენიმე კომიტეტს აერთიანებს, ესენია: საწარმოო, შრომის უსაფრთხოების, საბიუჯეტო და საკადრო, საინფორმაციო პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის კომიტეტები. საბჭოს შექმნის მიზანი კომპანიაში მიმდინარე აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში დასაქმებულების ჩართულობის გაზრდაა.

საბჭოს შექმნას წინ უძღვოდა სამუშაო შეხვედრები და საბჭოს წევრების არჩევნები. საბჭოს წევრები თავად დასაქმებულებმა აირჩეს, მათი მოვალეობაა თითოეულ დასაქმებულსა და კომპანიის ადმინისტრაციას შორის სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სამუშაო პროცესებში ჩართვა და მნიშვნელოვანი საკითხების ოპერატიულად მოგვარება.

მიხაილ სოცკიმ საბჭოს შექმნა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ საწარმოს საკითხების გადაწყვეტაში დასაქმებულების აქტიური ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საწარმოს გამართული მუშაობისთვის:

„კომპანიაში განვითარებისა და რეკონსტრუქციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენ უფრო აქტიურად უნდა მოვემზადოთ თბოელექტროსადგურის აშენებისთვის. ეს კი თითოეული ჩვენგანის ჩართულობის გარეშე ძნელი იქნება. ამიტომაც შეიქმნა ეს საბჭო, რათა ხელი შეუწყოს საწარმოს განვითარების საქმეში თითოეული თანამშრომლის ჩართულობას, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაციის გაძლიერებას და მათ ოპერატიულ მოგვარებას.

შახტის მომავალი საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაზეა დამოკიდებული, ამიტომ იმედი მაქვს, რომ დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებით საბჭოს საქმიანობას, გამორიცხავთ ემოციებს და ობიექტურ გადაწყვეტილებებს მიიღებთ“ - განაცხადა შეხვედრაზე მიხაილ სოცკიმ.

რაც შეეხება დასაქმებულების პოზიციას, მათი აზრით, ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, მნიშვნელოვანი საკითხების ერთობლივად გადაწყვეტა და ორივე მხარისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია როგორც საწარმოსთვის, ისე თითოეული დასაქმებულისთვის.



„საქნახშირში“ გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების სქემა განიხილეს

„საქნახშირის“ გენერალურ დირექტორთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. 2021 წლის 1 ივლისს პრეზიდიუმის შეხვედრა გაიმართა. ამავე შეხვედრაზე დაიგეგმა საბიუჯეტო და საწარმოო კომიტეტების რიგით მეორე შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრა 7 ივლისს გაიმართა. შეხვედრის თემა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების – შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება იყო.

შრომის ანაზღაურების სისტემის ცვლილება და გამომუშავებაზე დამოკიდებულ შრომის ანაზღაურებაზე გადასვლა კომპანიაში ჯერ კიდევ 2020 წლის სექტემბერში დაიწყო, რაც შახტების რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია და რომლის შემუშავებაშიც თავად მეშახტეებიც იღებენ მონაწილეობას. შედეგად, 2020 წლის სექტემბრიდან ნახშირმომპოვებელი, მზადებითი და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების უბნები გამომუშავებაზე დამოკიდებულ შრომის ანაზღაურებაზე გადავიდნენ, რამაც დასაქმებულთა ანაზღაურების შესამჩნევი ზრდა განაპირობა.

კომიტეტების სხდომაზე განიხილეს შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესების მიზნით დაწყებული ცვლილებები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მათი გაგრძელება, რათა ეტაპობრივად, საწარმოს ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული გადავიდეს გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების სისტემაზე, რაც, ერთი მხრივ, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ანაზღაურების ოდენობას, როგორც ეს მოხდა 2020 წლის სექტემბერში. პირველ ეტაპზე, აღნიშნული ცვლილებები უნდა შეეხოს საშახტო ტრანსპორტისა და ზედაპირული კომპლექსის უბნებს, რისთვისაც უახლოეს პერიოდში უნდა დასრულდეს დაწყებული ქრონომეტრაჟი და სხვა სათანადო კვლევები, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდება შრომის ანაზღაურების შესაბამისი სქემა. მანამდე კი, 10 დღის ვადაში, ამავე უბნებისთვის ჩამოყალიბდება დროებითი დანამატების სისტემა, რომელის მიხედვითაც, გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების სქემის დანერგვამდე, დასაქმებულებს საწარმოო გეგმების შესრულებისა და შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით დაცვისთვის არსებულ ხელფასებზე მიეცემათ დანამატი.

ამავდროულად, სხდომაზე კომიტეტის წევრები კვლავ გამოეხმაურნენ საწარმოს თანამშრომელთა ნაწილის მიმდინარე პროტესტს, რასთან დაკავშირებითაც კიდევ ეთხელ აღინიშნა, რომ მიუღებელია პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა, პროტესტის მონაწილეთა მიერ მუშაობის თვითნებური შეწყვეტა და საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმა. იმ პირობებში, როდესაც უკვე დაწყებულია მუშაობა ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებაზე, რის შესახებაც ყველა, მათ შორის, პროტესტის მონაწილეებიც, ინფორმირებული იყვნენ, მნიშვნელოვანია პროცესში ყველა დასაქმებულის ჩართულობა, განსახორციელებელ ცვლილებებზე აზრის გამოხატვა და საერთო მიზნების ერთობლივად, კონსტრუქციულად მიღწევა. შესაბამისად, კომიტეტის წევრები მოუწოდებენ პროტესტის მონაწილეებს, დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს და მონაწილეობა მიიღონ საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში.

პროტესტის მონაწილეები დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდნენ

9 ივლისს, იმ თანამშრომლების ნაწილი, რომლებიც 3 ივლისს ხელფასის მომატების მოთხოვნით სამსახურში არ გამოცხადდნენ, დირექტორ თა საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდნენ. შეხვედრაზე მათ ანაზღაურების სისტემა განიხილეს. მიხაილ სოცკიმ მათ კითხვებს უპასუხა და პრემირების სისტემის სარგებლიანობაზე ისაუბრა.

საკონსულტაციო საბჭო და მისი წევრები გრაფიკის მიხედვით გააგრძელებენ მუშაობას. საბჭოს მიზანს შახტების განვითარების გეგმის წარმატებით განხორციელება და დასაქმებულებისთვის შრომის პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს.

ინფორმაცია ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ

რა არის ბონუსური სისტემა?

სიტყვა“ბონუსური“ არასწორი განმარტებაა იმისა, რასაც ადმინისტრაცია სთავაზობს თანამშრომლებს (თავდაპირველად, არასწორად ითარგმნა). აქ საუბარია არა ბონუსებზე, არამედ შესაძლებლობაზე, რომელიც თითოეულს ექნება და რომელიც საშუალებას მისცემს საგრძნობლად გააუმჯობესონ შემოსავალი.

რა მოხდება, თუ დასაქმებული სამსახურს უმიზეზოდ გააცდენს, არ შეასრულებს თავის მოვალეობას ან არ დაიცავს უსაფრთხოების ნორმებს?

ამ შემთხვევაში, დანამატი (მინიმუმ 200 ლარი), რომელიც დასაქმებულს უნდა მიეღო, გადანაწილდება სხვა თანამშრომლებზე, რომლებმაც დაკისრებული მოვალეობა სრულად შეასრულეს და შესაძლოა, მათ მიიღონ 280 ან მეტი პრემია. რადგან უსამართლო იქნება, იმ ადამიანებმა, ვინც სხვებთან შედარებით ორჯერ მეტს მუშაობენ, იგივე ხელფასი რომ აიღონ, რაც ნაკლები დატვირთვით მომუშავე ადამიანებს აქვთ.

როგორ უნდა მოიქცნენ დასაქმებულები, თუ საბჭოს და კომიტეტის წევრების ობიექტურობაში ეჭვი შეეპარათ?

ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს საკითხის განხილვა, თუ უმრავლესობა იმავეს დაადასტურებს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ახალი წევრების არჩევა. ახალი წევრი უნდა აირჩიონ თავად დასაქმებულებმა, რადგან ის უნდა იყოს მათი ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი საბჭოში.

რა არის პრემირების სისტემა?

პრემირება არის ანაზღაურების გაუმჯობესების სისტემის პირველი საფეხური. მანამ, სანამ საწარმო სრულად გადავა გამომუშავებაზე დამოკიდებულ შრომის ანაზღაურებაზე, საშახტო ტრანსპორტის, ზედაპირული და სხვა უბნებისთვის პრემირების სისტემა ამოქმედდება. ეს არის შესაძლებლობა, რომ დასაქმებულებმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შედეგად (უსაფრთხოების ზომების ზედმიწევნით დაცვით), გამოიმუშაონ მინიმუმ 200 ლარით მეტი.

როდის გახდება პრემირების სისტემის დეტალები და დებულება ცნობილი?

საბჭოს აქვს დავალება, რომ შეიმუშაოს დებულება 10 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოესწრება, მიეცემათ დამატებით რამდენიმე დღე.

ვინ გააკონტროლებს დასაქმებულების მუშაობას და იქნება თუ არა ეს პროცესი გამჭვირვალე და ობიექტური?

დასაქმებულების მუშაობას გააკონტროლებს სპეციალური მონიტორინგის სამსახური. ყოველ უბანს ეყოლება მონიტორინგის ჯგუფი, თავისივე თანამშრომლებით დაკომპლექტებული. მკაცრად გაკონტროლდება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ნაცნობობას და შუამდგომლობას, რადგან მსგავსი ფაქტები დანარჩენი დასაქმებულების უფლებებს დაარღვევს.

დამოკიდებულია თუ არა ტრანსპორტის, ზედაპირული და სხვა უბნების თანამშრომლების ანაზღაურება მოპოვებაზე?

აღნიშნული უბნების თანამშრომლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული ნახშირის მოპოვებაზე. დანამატს პრემიის სახით ისინი კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში უპრობლემოდ მიიღებენ.

თქვენი მომავალი ანაზღაურება თქვენს ხელშია!

გაიცანით სადისპეჩერო სამსახურის თანამშრომლები

სადისპეჩერო სამსახური შახტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილებაა, საიდანაც დაკავშირება ხდება როგორც მიწისქვეშ დასაქმებულებთან, ისე ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. ბოლო რამდენიმე წელია, რაც სადისპეჩერო სამსახური თანამდეროვე კომპიუტერული აპარატურით აღიჭურვა. სწორედ ამ აპარატურის და სპეციალური ჩიპების წყალობით ხდება მეშახტეების გადაადგილების კონტროლი. სადისპეჩერო სამსახური იძლევა მიწისწვეშ ფეთქებადი და მოპოვებითი სამუშაოების წარმოების ნებართვასაც. სწორედ ამიტომ, ამ სამსახურს შახტის ხერხემალსაც უწოდებენ.

შახტის გამართულ და უსაფრთხო მუშაობას ხუთი ადამიანი უზრუნველყოფს.

ლუიზა გაბრიაძე 2010 წლიდან „მინდელის“ შახტის სადისპეჩერო სამსახურის ერთ-ერთი დისპეჩერია. 1985 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ტყიბულში დაბრუნდა. წლების განმავლობაში „მინდელის“ და მაშინდელ „სტალინის“ სახელობის შახტებზე მუშაობდა.

ქალბატონი ლუიზა სამთოელის ოჯახიდანაა. მამა, კალენიკე გაბრიაძე ცნობილი სამთოელი და „სატალინის“ შახტის მთავარი ინჟინერი იყო. ქალბატონი ლუიზას მსგავსად, მამის პროფესიას გაჰყვა მისი ორივე და. დამსახურეული მეშახტეა ლუიზა გაბრიაძის ბიძაც, ჯუმბერ გაბრიაძე (რომელზეც წინა ნომერში მოგიყევით). ბაბუა, ელისი გაბრიაძეც სამთოელი იყო.

ქალბატონი ლუიზას მეუღლე, პეტრე რობაქიძე „მინდელის“ სახელობის შახტზე ფეთქითი ნივთიერების გამცემის პოზიციაზე მუშაობს. ჰყავთ ერთი ქალიშვილი.

„ჩემთვის შახტა მთელი ცხოვრებაა, დიდი სიყვარული მაქვს შახტის მიმართ, მეამაყება რომ სამთოელების ოჯახიდან ვარ და ჩემი წინაპრების ტრადიციას ვაგრძელებ.“

ინეზა ქასრაძემ 2008 წელს მინდელის სახელობის შახტზე, სადისპეჩერო სამსახურში დაიწყო მუშაობა და დღემდე აქ მუშაობს.

ქალბატონმა ინეზამ ჯერ ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა (გემო-კვების სპეციალობით), შემდეგ კი ტყიბულის სამთო-ტექნიკური სასწავლებლი, ელექტროობის სპეციალისტი გახდა და ტყიბულის სამთო-სამაშველო სამსახურში, კადრების განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ რვა წელი „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტის ადმინისტრაციაში, საქმეთა მმართველად იმუშავა. წლების მანძილზე მუშაობდა „მინდელის“ შახტზე და ტრესტის კომუტატორის განყოფილებაში. 2008 წლიდან დღემდე „მინდელის“ შახტის სადისპეჩეროს თანაშრომელია. მეუღლე, ბესო ქასრაშვილი ქვა-ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაშია დასაქმებული. ჰყავთ სამი წლის შვილი.

ნინო ლაცაბიძე მრავალი წელია სამთო სფეროში საქმიანობს. 1987 წელს მან მუშაობა „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტზე, ქვა-ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში მთავარ ინჟინრად დაიწყო. შახტში მიღებული ტრამვის გამო დროებით წამოვიდა სამსახურიდან. 2006 წელს კი ისევ დაბრუნდა და დღემდე „მინდელის“ სახელობის შახტის სადისპეჩერო სამსახურში მუშაობს.

ქალბატონმა ნინომ საქართველოს პოლიტქნიკური ინსტიტუტის სამთო იჟინერ- გამამდიდრებლის ფაკულტეტი, სამთო ინჟინრის კვალიფიკაციით წითელ დიპლომზე დაამთავრა. სამუშაოდ დონეცკში გაანაწილეს, იქიდან მალევე დაბრუნდა და მუშაობდა სურამის შუშის ქარხანაში დაიწყო. 1987 წელს ტყიბულელ სერგო ქათმაძეზე დაქორწინდა, ჰყავთ 3 შვილი და 4 შვილიშვილი.

მეუღლე პროფესიით სამთო ინჟინერია, 1982 წლიდან 2016 წლამდე „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტის და „მინდელის“ სახელობის შახტის მთვარი ენერგიტიკი გახლდათ. მათი ვაჟი, ნიკა ქათამაძე „საქნახშირში“ ეკოლოგის პოზიციაზეა დასაქმებული. უმღლესი განათლება მიიღეს გოგონებმაც.

ავთანდილ ცხადაძე 42 წელია სამთო სფეროში საქმიანობს. მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო მშენებლის კვალიფიკაციით დაამთავრა. სწავლის პარალელურად, 1979 წელს, მაშინდელ „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტში მებიგედ დაიწყო მუშაობა. შემდეგ განიავების, ტრანსპორტის და მოპოვებით უბნებზე მუშაობდა.

„საქნახშირში“ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თნამდებობებზე მუშაობის შემდეგ სამუშაოდ ტყიბულის სამაშველო სამსახურში გადავიდა, სადაც 2 წელი უფროსის თანაშემწედ იმუშავა.

1989 წლიდან „მინდელის“ სახელობის შახტში, დირექტორის მოადგილე იყო, ასევე გახლდათ მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრლებელი (ერთი წელი). ამის შემდეგ არაერთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობდა. 2012 წლიდან დღემდე კი დისპეჩერის პოზიციაზე მუშაობს.

ჰყავს მეუღლე, 2 შვილი და 4 შვილიშვილი. მეუღლე, დარეჯან ქარქაშაძე ტყიბულის სამთოსამაშველო სამსახურის მთავარი ლაბორანტია.

ბატონი ავთოს მამა, ივანე ცხადაძე პროფესიით სამთო იჟინერი იყო და 40 წლის მანძილზე შახტში, სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. დღეს ბატონი ავთო თავის ცოდნას და გამოცდილებას ახალ თაობას სიამოვნებით უზიარებს.

„ჩემი საქმიანობის პერიოდში, დირექტორის დონემდე არ ვარ ასული, თორემ დანარჩენი ყველა პოზიციაზე მიმუშავია. ზეპირად ვიცი ყველაფერი რაც შახტს ეხება. ყველას ვეტყვი, რომ შახტში მთავარი უსაფრთხოების წესების დაცვაა. ყველას მოვუწოდებ, იყავით ყურადღებით, პირველ რიგში, შენს თავს უნდა მიხედო ადამიანმა, ასევე უნდა იცოდე, რომ შახტში თუ რამეს არასწორად გააკეთებ, შეიძლება შენ გადარჩე და სხვა დაიღუპოს შენი მიზეზით. ამიტომ, ყოველთვის ფრთხილად უნდა იყო. გაუფრთხილდით საკუთარ თავს და სხვის სიცოცხლეს.“

ზურაბ ჭანტურიძე წლების მანძილზე სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინრის კვალიფიკაციით დაამთავრა. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ (1974 წელს) მუშაობა „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტში, სამთო ოსტატად დაიწყო. წლების მანძილზე იყო ვენტილაციის უბნის უფროსის თანაშემწე და შემდეგ მოადგილე, უბნის უფროსი, უსაფრთხოების განყოფილების უფროსი, ტექნიკური განყოფილების უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე, მთავარი ინჟინერი. აღნიშნული შახტის დახურვის გამო 5 წელი სამთო სფეროს ჩამოშორდა. 2005 წელს ისევ დაბრუნდა და მუშაობა „მინდელის“ სახელობის შახტზე, სამთო ოსტატად დაიწყო. მუშაობდა მზადების, მოპოვების, ტრანსპორტის, რემონტის უბნებშიც. ბოლო ერთი წელია სადისპეჩერო სამსახურის დისპეჩერია.

ბატონი ზურაბი ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მეშახტეა, თავისი საქმის პროფესიონალი. ის დღემდე ღირსეულად ემსახურება სამთო სფეროს. ბევრი სასახელო თაობა აღზარდა და აზიარა სამთო დარგს. თავის ცოდნას და მრავლწლიან გამოცდილებას დღესაც უანგაროდ უზიარებს მომავალ თაობებს.

ჰყავს მეუღლე, 2 შვილი და 3 შვილიშვილი. შვილი, ზვიად ჭანტურიძე, მამის ტრადიციას აგრძელებს და „საქნახშირის“ თანამშრომელია.

ჩინეთიდან ახალი ნაწილები ჩამოვიდა!

15 ივნისს „საქნახშირმა“ ჩინეთიდან ახალი პროდუქცია მიიღო. მათ შორისაა საგაზო დაცვის სისტემის სათადარიგო ნაწილებიც, რაც მნიშნელოვანია უსაფრთხო შრომის პროცესის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, საწარმომ მიიღო 1000 ელემენტი და მეშახტის ახალი ფანრები.

აღნიშნული მასალებით მოხდება მწყობრიდან გამოსული სათადარიგო ნაწილების ჩანაცვლება.

43 წელი სამთო სფეროში!

გენადი (გელა) ბოჭორიშვილი ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა. მამა, სერგო ბოჭორიშვილი, დამსახურებული მეშახტე იყო. ბატონმა გენადიმ ტყიბულის მეექვსე საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მუშაობა „მინდელის“ სახელობის შახტის სანგრევში, ნახშირის მომპოვებლად დაიწყო. ჰყავს მეუღლე მარინა ძოწენიძე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

გენადი ბოჭორიშვილი 1978 წლიდან დღემდე „მინდელის“ სახელობის შახტში მუშაობს, ამჟამად ცვლის ბრიგადირის პოზიციაზეა დასაქმებული და მრავალი წელია ერთგულად ემსახურება შახტს. ამ ხნის მანძილზე ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი აღზარდა, ისინი დღეს საუკეთესო მეშახტეები არიან.

გენადი ბოჭორიშვილი: *„როცა სამუშაოდ მოვედი 19 წლის ვიყავი, ბევრი კარგი ადამიანი დამხვდა, ვინც გვერდით დამიდგა და შახტში მუშაობა მასწავლა. წლების მანძილზე შახტში ბევრი საუკეთესო მეგობარი შევიძინე, რომლებიც ოჯახის ახლობლებლები გახდნენ. სამსახური ჩემთვის მეორე ოჯახია, აქ გავიზარდე და დავვაჟკაცდი. 43 წლიანი მუშაობის მანძილზე მხოლოდ 2 წელი ვიყავი შახტიდან წასული, რადგან ოთხმოცდაათიან წლებში შახტში საწარმოო პროცესი დროებით შეჩერებული იყო.*

დღეს შახტა გამართულად მუშაობს, დაფასებულია მეშახტის პროფესია, რაც კომპანიის დამსახურებაა. მადლობა ყველას ვინც ზრუნას შახტის და მეშახტის კეთილდღეობაზე“.

ახალგაზრდა მეშახტე
თორნიკე ჯავახაძე

თორნიკე ჯავახიძე სულ რაღაც 19 წლის იყო როდესაც შახტში დაიწყო მუშაობა. დღეს უკვე 6 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს და ახალგაზრდა, შრომისმოყვარე, პერსპექტიული სპეციალისტია.

მან ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“ ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო მექანიკოსის სპეციალობით დაამთავრა. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნებულმა „მინდელის“ სახელობის შახტში, ტრანსპორტის უბნის გზის მოხელედ დაიწყო მუშაობა. ექვსი წელი ამ პოზიციაზე საქმიანობდა. სულ რამდენიმე თვეა ნახშირის მოპოვების უბანში გადავიდა სამუშაოდ. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

„საქნახშირმა“ ნარდის ჩემპიონატის გამარჯვებულები დააჯილდოვა!

სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, 26 ივნისს „საქნახშირის“ თანამშრომლებს შორის ნარდის შეჯიბრი გაიმართა.

შეჯიბრი ოთხ ტურად ჩატარდა და მასში კომპანიის 42 თანამშრომელი მონაწილეობდა. შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდენ გამარჯვებულები.

პირველ ადგილზე ოთარ ქარქაშაძე გავიდა, მეორე ადგილზე ზურაბ ბარიხაშვილი, ხოლო მესამე ადგილზე ჯონი ჩქიმიკოჩა.

შეჯიბრში გამარჯვებულებს „საქნახშირის“ ადმინისტრაციამ ფულადი საჩუქარი და სამახსოვრო სერთიფიკატები გადასცა. პირველ ადგილის მფლობელს 500 ლარი გადაეცცა, მეორე ადგილს 300 ლარი ერგო, მესამე ადგილზე გასულს კი 200 ლარი. ასევე დასაჩუქრდა ტურნირის ერთადერთი მონაწილე ქალბატონი მთვარისა სოფრომაძე. კომპანიამ მას სამახსოვრო სერტიფიკატი და ფულადი პრიზი, 100 ლარი გადასცა.

PEOPLE IN NEED-ის მოლდოვის ოფისის წარმომადგენლები ტყიბულში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, თემურ ჩუბინიძე, ჩეხური არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია PEOPLE IN NEED-ის მოლდოვის ოფისის წარმომადგენლებს შეხვდა.

სტუმრები დაინტერესდნენ ტყიბულში 2016-18 წლებში მიმდინარე პროექტის ,,სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ გამოცდილების გაზიარებით.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ნელი ქარელი, ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ემილია გაბრიაძე და ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის (TDDF) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

უცხოელი სტუმრები სოციალურ სერვისებს გაეცნენ, რომელიც აღიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსდა. მათ ასევე მოინახულეს ხანდაზმულთა სოციალურ-კულტურული ცენტრი და სოციალური სამრეცხაო.

დემოკრატიის გაძლიერება მედია წიგნიერების ამაღლებით

ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის (TDDF) წარმომადგენლებმა ტყიბულში პროექტის „დემოკრატიის გაძლიერება მედია წიგნიერების ამაღლებით“ შემაჯამებელი ღონისძიება გამართეს. შეხვედრის მსვლელობისას პროექტის ფარგლებში გამართული ღონისძიებების შეჯამება მოხდა.

ფონდის ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იან ჩერნიკი, საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელი ლელა ბერძული, ჩეხური არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია PEOPLE IN NEED-ის პროექტის მენეჯერი ანა ქოჩუა-ჩახაია, პროექტის კოორდინატორი ქეთევან გოცირიძე-ბრეგაძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნატალია კობახიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინა კორძაია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი დოკუმენტური ფილმების ჩვენებასა და დისკუსიების წარმართვას ითვალისწინებდა. ის ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ საგანმანათლებლო პროგრამას „ერთი სამყარო სკოლებში,” რომელიც PEOPLE IN NEED-ის მიერ ჩეხეთში 2003 წლიდან ხორციელდება. ასევე, პროექტის ფარგლებში მედია წიგნიერების საკითხებში სფეროს ექსპერტები და სხვადასხვა მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ მოწვეულები.

პროექტი ტყიბულში ხუთი თვის მანძილზე მიმდინარეობდა და მასში 22 ახალგაზრდა იყო ჩართული, რომელთაც შემაჯამებელ შეხვედრაზე სერტიფიკატები და გიორგი კეკელიძის წიგნი „გურული დღიურები“ გადაეცათ.

პროექტი ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდმა (TDDF), ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ (PIN)“-ის მხარდაჭერით და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და USAID-ის დაფინანსებით განახორციელა.

ტყიბულში რეკრეაციული ზონების განახლება მიმდინარეობს

პროექტის ,,ადგილობრივი პარტნიორობა იმერეთის მეორე დონის პოსტ-ინდუსტრიული ქალაქების რევიტალიზაციისთვის“ ფარგლებში, ტყიბულში რეკრეაციული ზონების განახლება მიმდინარეობს, რომელიც გამსახურდიას ქუჩაზე ორი სკვერის რეაბილიტაციას გულისხმობს. 9 აპრილის სახელობის სკვერში არსებულ სამუშაოებს ტყიბულის მუნიციპალიეტის მერი თემურ ჩუბინიძე გაეცნო.

9 აპრილის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია კომპლექსურ სამუშაოებს მოიცავს, მათ შორის, ბილიკების მოპირკეთებას, მოაჯირების განახლებას, ახალი კედლის ჩამოსხმა-მოხატვას, ბავშვთა გასართობის სივრცის მოწყობას, ასევე განათების და გამწვანების შეცვლას.

პარალელურად, სკვერის განახლება დაწყებულია ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარედ. დასასვენებელი სივრცეები ადაპტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის. აღნიშნული პროექტი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გამოცხადებული ,,იდეების კონკურსი“-ს ფარგლებში ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 100 000 ლარს შეადგენს.

სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა

კულტურის ობიექტების გაერთიანების სამხატვრო სკოლამ გამოფენა მოაწყო. საგამოფენო დარბაზი 2020-21 სასწავლო წლის 15 კურსდამთავდებულის მიერ, ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილ 100-ზე მეტ ნახატს დაეთმო.

წარმოდგენილი იყო, როგორც სახვითი, ისე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. დამთვალიერებლებს ნახატების ავტორებმა ზეთის საღებავებით, აკვარელით, გუაშით, გრაფიტითა თუ ტუშით შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები გააცნეს. ნახატები სტუმრებს სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელმა, მირზა ჭელიშვილმა, სათითაოდ წარმოუდგინა.

კურსდამთავრებულები ფერწერას, გრაფიკას, კომპოზიციას, ვიტრაჟს, ხეზე კვეთას, თექას, ბატიკას, თიხის მხატვრულ დამუშავებას, ხელოვნების ისტორიას, დაზგურ ქანდაკებას, ქვიშაზე ხატვასა თუ სხვას, სამხატვრო სკოლის განსაკუთებულად თბილ, მყუდრო და სიყვარულით გაჯერებულ გარემოში 4 წლის განმავლობაში შეისწავლიდნენ.

ბევრი მათგანი სწავლის გაგრძელებას სახვითი ხელოვნების მიმართულებით გეგმავს. ღონისძიებაზე დამთვალიერებელთა შორის იყვნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნატალია კობახიძე, მერის პირველი მოადგილე, გიორგი ლომთაძე, ,,საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურის ობიექტების გაერთიანებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები.

სტუმრებმა კურსდამთავრებულებს დიპლომები გადასცეს, წარმატებები უსურვეს, მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექციას, პედაგოგებსა და მშობლებს. მათ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და გამოფენით მიღებულ დადებით ემოციებზეც ისაუბრეს.

ბრინჯაოს მედალი მსოფლიო ჩემპიონატიდან

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ 2021 წლის ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე ილია სულამანიძემ (-100კგ წონითი კატეგორია) ბრინჯაოს მედალი მოიგო. მან გზად ისეთი ცნობილი სპორტსმენები დაამარცხა, როგორებიცაა ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი, აზერბაიჯანელი ელმარ გასიმოვი, ტიტულოვანი ფრანგი ალექსანდრ იდირი, თურქი მერტ სისმენლარი, მონღოლი ოტგონბაატარ ლხაგვასურენი და კანადელი შადი ელნაჰასი.

ილიასთვის ეს მსოფლიო ჩემპიონატი სადებიუტო იყო. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ის ყველაზე ახალგაზრდა ძიუდოისტი გახდა (19 წლის), რომელმაც ამ დიდ ფორუმზე მედლის მოგება შეძლო.

ამ წარმატებით ტყიბულელი ძიუდოისტი მსოფლიო რეიტინგში 11 საფეხურით დაწინაურდა და ამჟამად უფროსებს შორის მე-20 ადგილზე იმყოფება, ახალგაზრდებში კი ერთპიროვნულად ლიდერობს და პირველი ნომერია.

ჩვენი ჩემპიონი 20 წლის გახდა!

“საქნახშირი” ულოცავს ილია სულამანიძეს დაბადების დღეს! ბედნიერებას, ჯანმრთელობას და კიდევ უფრო დიდ წარმატებას ვუსურვებთ!

მეშახტეების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი

ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის ძიუდოს დარბაზში, ტრაგიკულად დაღუპულ მეშახტეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა.

ტრადიციული ტურნირი ძიუდოში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც იმერეთის 12 გუნდის 150 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

ტურნირში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისა და გელათის ძიუდოს ჯგუფების ახალბედა სპორტსმენებმაც იასპარეზეს და სხვადასხვა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებს დაეუფლნენ.

ღონისძიებას ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, თემურ ჩუბინიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნატალია კობახიძე, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ალეკო ბიბილაშვილი და ტყიბულის სპორტული ცენტრის დირექტორი, ვარლამ კობახიძე ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ შეჯიბრის მონაწილეებს მსოფლიო ოლიმპიური დღე მიულოცა და გამარჯვებულ სპორტსმენებს მედლები და სიგელები გადასცეს.

გელათში, ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით მოეწყო გარბენიც. სპორტულ აქტივობაში მონაწილე ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიება ა.(ა.)ი.პ. სპორტული ცენტრის ორგნიზებით და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

ჩვენი გაზეთი 1 წლისა

1 წლის განმავლობაში

- ✓ *გაგაცანით **53** თანამშრომელი*
- ✓ *გავაშუქეთ **12** ღონისძიება*
- ✓ *მოგიყევით **30-მდე ახალი ამბავი** ტყიბულის შესახებ*
- ✓ *გამოვაქვეყნეთ **20-ზე მეტი სტატია** კომპანიაში მიმდინარე სიახლეებზე*

ჩვენი გაზეთის სარედაქციო გუნდს ვულოცავ 1 წლის იუბილეს. მოხარული ვარ, რომ გაზეთმა ამ მცირე პერიოდში დიდი ინტერესი დაიმსახურა და ბევრი ერთგული მკითხველი ჰყავს როგორც ტყიბულში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის მასშტაბით! ამ პერიოდის განმავლობაში, კომპანიაში და ზოგადად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ცვლილებების შესახებ არაერთი საინტერესო სიახლე გაშუქდა, გაზეთის საშუალებით უკეთ გავიცანით ჩვენი თანამშრომლები, წავიკითხეთ საინტერესო ისტორიები. საკუთარი პროფესიის ასეთი სიყვარულისთვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ თანამშრომელს. საერთო ჯამში, გაზეთი „მეშახტე“ მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო გახდა. ის საშულებას გვაძლევს ვიყოთ ინფორმირებულები, თვალი ვადევნოთ საწარმოს განვითარებას და მუნიციპალიტეტის ამბებს.

მადლობა სარედაქიო გუნდს, რომელიც ყოველთვიურად თავს უყრის საინტერესო ინფორმაციას და გაზეთის საშუალებით მოაქვს ჩვენამდე. მინდა კიდევ უფრო ბევრი საინტერესო სიახლე ვუსურვო ტყიბულს, „საქნახშირს“ და რა თქმა უნდა, გაზეთ „მეშახტეს.“

გიორგი ჭელიძე
ინვესტორი კომპანიის დამფუძნებელი

გაზეთ ,,მეშახტე“-ს და მის შემოქმედებით გუნდს გულითადად გილოცავთ პირველ იუბილეს. ჩვენთვის სასიამოვნოა თქვენთან თანამშრომლობა, საზოგადოების აქტიური ნაწილი მუნიციპალიტეტში და ,,საქნახშირში“ მიმდინარე სიახლეებს თქვენი გაზეთის მეშვეობით ეცნობა. ერთი წლის წინ თქვენ უმნიშვნელოვანეს საქმეს ჩაუყარეთ საფუძველი და გახდით საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციის წყარო. კიდევ ერთხელ გილოცავთ, გისურვებთ ერთგულ მკითხველთა სიმრავლეს, პოზიტიურ სიახლეებს და ბევრ წარმატებას!

თემურ ჩუბინიძე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი

პატივისცემით გილოცავთ გაზეთის იუბილეს!

გულითადათ ვულოცავ ,,საქნახშირს“ გაზეთ ,,მეშახტეს“ იუბილეს, ვულოცავ მის რედკოლეგიას და მთლიანად კოლექტივს!

მისასალმებელია, რომ გაზეთი ,,მეშახტე“ პროფილურ თემატიკასთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს ეხმიანება და აშუქებს. სასიამოვნოა, რომ გაზეთი დატვირთულია უამრავი საინფორმაციო და ფოტო მასალით.

გულწრფელად ვუერთდები ,,საქნახშირის“ ერთსულოვან განწყობას. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს, მუდმივ საინტერესო სიახლეებს და ერთგული მკითხველის სიმრავლეს!

ნატალია კობახიძე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე
ივნისი|2021|№10

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, თამარ გაფრინდაშვილი, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის” კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri